ELKANA

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია
BIOLOGICAL FARMING ASSOCIATION

biofarm@elkana.org.ge
www.elkana.org.ge

გაზაფხულის ქ. № 61
0186 თბილისი
ტელ./ფაქსი: +995 32 253 64 87

61 Gazapkhuli str. , 0186
Tbilisi, Georgia
Tel./Fax.: +995 32 253 64 87

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წევრთა VI ყრილობა

05.04.17, თბილისი

2017 წლის 5 აპრილს, თბილისში, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წევრთა VI ყრილობა, რომელსაც დაესწრო 98 დელეგატი - ასოციაციის წევრი მეურნეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ყრილობა გახსნა ასოციაცია „ელკანას“ გამგეობის თავმჯდომარემ - თეიმურაზ ღოღობერიძემ, რომელმაც ისაუბრა ორგანიზაციის მისიაზე და მის როლზე საქართველოში ბიოაგროწარმოების განვითარების, აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობები და მიღწეული შედეგები ყრილობას „ელკანას“ დირექტორმა მარიამ ჯორჯაძემ გააცნო. მოხსენების ბოლოს მან მადლობა გადაუხადა გამგეობის წევრებს და გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

ყრილობის მონაწილეებმა მოიწონეს და დაამტკიცეს წარმოდგენილი ანგარიში და ორგანიზაციის წესდებაში შესატანი ცვლილებები; შემდეგ ღია კენჭისყრით აირჩიეს ასოციაციის გამგეობის ახალი შემადგენლობა.

დღის მეორე ნახევარში ყრილობის მონაწილეებმა სამუშაო ჯგუფებში განიხილეს ბიომეურნეობების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები, ასოციაციის მომსახურების გაუმჯობესების შესაძლებლობები და განსაზღვრეს „ელკანას“ სამომავლო საქმიანობის პროგრამული მიმართულებები.

ასოციაციის წევრი მეურნეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ინიციატივით, ყრილობამ განიხილა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის #588 განკარგულება „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, იმსჯელა ამ ღონისძიებების შესაძლო უარყოფითი შედეგების შესახებ და ერთხმად მიიღო მიმართვა საქართველოს მთავრობის მიმართ.

ყრილობის დასასრულს გაიმართა გამგეობის სხდომა, რომელზეც გამგეობის თავმჯდომარედ ირმა დავაძე აირჩიეს.

ამით ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ VI ყრილობამ მუშაობა დაასრულა.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ 1994 წელს დაფუძნდა. ასოციაცია ხელს უწყობს საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას ბიოაგროწარმოების, აგროეკოლოგიური პრაქტიკის დანერგვის, სოფლად ეკონომიკური საქმიანობის გამრავალფეროვნებისა და მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.
დღეისათვის ასოციაცია 2,000-მდე მეურნეს ემსახურება.